აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №42

28/09/2016 წელი **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პროპორციული ბიულეტენის ტექსტი თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

2. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული ბიულეტენების ტექსტები თანდართული ნიმუშების შესაბამისად, შემდეგი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებისათვის:

ა) №68 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
ბ) №69 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
გ) №70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
დ) №71 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
ე) №72 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
ვ) №73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი